

თ. კვირკველია
ქველი
თბილისი

თ. კვირკველია



კველი თბილისი



გამოცემლობა „საბაზო სამართველოს“
თბილისი — 1984

63.3 (2 Г)
9 (47.922)
δ 46

რეცენზენტი

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი
პროფესორი ნ. მგალოგლიშვილი

K 290.089
m

1905040100 - 274
K —————— 218 - 84
M 601 (08) - 84

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984

მოკლე ისტორიული ეპიკური

ლეგენდა გაღმოგვცემს, რომ როდესაც მეცე ცხელი წყაროებით მდიდარ ტყეებში ნადირობდა, ხოხობი და მისი მდევარი მეფის მიმინო ერთ ასეთ წყაროში ჩაგარდნენ და უმაღ მოიხარშნენ. მეორე ვერსიის თანამად, სასიკვდილოდ დაჭრილმა ირემა ცხელ წყაროს მიაშრა, იარა განიბანა და განკურნებულმა კვლავ ტყეს მისცა თავი. მეფემ ამ აღილზე ქალაქის აშენება ბრძანა.

ქალაქი დასახელება მართლაც თბილი წყაროებისაგან მიიღო. „თბილისი“ ქართული სიტყვა „თბილიდან“ მომდინარეობს.

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ თანამედროვე თბილისის ტერიტორიაზე დასახლებები ჯერ კიდევ ენეოლითის პერიოდში ყოფილა. მათი რიცხვი მატულობს გვიანი ბრინჯაოს ხანის დასაწყისიდან. ამასთან, მტკიცდება, რომ დასახლებები მუდმივად არსებობდა და მათ მაღალგანვითარებული კულტურა და ეკონომიკა ჰქონიათ, რომლებიც შემდგომში, საგაჭრო ურთიერთობას ამყარებენ პართიასთან, ბოსფორთან, რომთან.

დღევანდელი თბილისის ტერიტორია განსაკუთრებით შეიძროდ იყო დასახლებული ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებში.

თუ პირველი მოსახლეობა ცხელმა წყაროებმა მიიზიდა, ციხე-სიმაგრის მშენებლობა, დასახლების ციხე-ქალაქად და შემდგომ დედაქალაქად გადაქცევა მხოლოდ ადგილმდებარეობის სტრატეგიული მნიშვნელობით უნდა აიხსნებოდეს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოიჩინდა ტერიტორია, რომელიც ამჟამად აბანოების უბანს უკავია; აღგილი, სადაც თბილისი აღმოცენდა. აქ, ხეობაში, მდინარის კალაპოტი მეტად ვიწროა. ამ აღგილზე მტკვარს ორთავ მხარეს ბუნებრივ ბასტიონებად აღმართული კლდეები გასდევენ. ამგვარად, თვით ბუნებამ იზრუნა, რომ გამავალ საგაჭრო გზებზე განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეექმნა. ბუნებრივმა პირობებმა, რელიეფის თავისებურებამ განაპირობა სწორედ ციხესიმაგრის აშენება, ბუნებრივმა მონაცემებმავე და საგაჭრო გზების არსებობამ განსაზღვრეს ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარება. ყოველივე ამან კი გამოიწვია ციხე-სიმაგრისა და დასახლების ჯერ ციხე-ქილაქად, ხოლო შემდეგ ქალაქად ქცევა.

დღეს ძნელია ციხე-ქალაქის დარსების დროის, ანუ თბილისის ზუსტი ასაკის დაგენა, მაგრამ ისტორიული მასალები საშუალებას გვაძლევენ ციხე-სიმაგრის არსებობა გვიანანტიკურ პერიოდში, I-IV

საუკუნეებში ვივარაუდოთ. რომელი გეოგრაფის კასტორიუსის მიერ VI საუკუნეში შედგენილი სამოგზაურო რუკა უძველესია ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან, საღაც თბილისია მოხსენიებული. მოგვიანებით თბილის იხსენიებს, VI საუკუნის მეორე ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე.

V ს-ის მეორე ნახევარში შეფე ვახტანგ გორგასალი სპარსელების მიერ დანგრეული ქალაქის აღდგენას და გაფართოებას შეუდგა იმ განზრახით, რომ დედაქალაქი შეცეთიდან თბილისში გადმოეტანა. გორგასალის მიერ დაწყებული საქმე, მისი გარდაცვალების შემდეგ, მის-მა მემკვიდრემ დაჩიმ დასარულა VI საუკუნის დასაწყისში.

VI საუკუნის დასაწყისისათვის ჩამოყალიბდა ქალაქის მოცულობითი და გეგმარებითი სტრუქტურის საფუძვლები, რომლებიც შემდგომ საუკუნეებში განვითარდა. ორთავ მხრიდან მდინარისაკენ ეშვებოდნენ ფორტიფიკაციული ნაგებობების სისტემები და დღევანდელი შეტეხის ხიდის სიახლოეს მდებარე უძველეს ხიდთან ერთიანდებოდნენ. მტკვრის მოპირდაპირე ნაპირებზე აღმართული ციტადელები (ისანი — მარცხენა ნაპირზე და დედაციხე ნარიყალითურთ — მარჯვენაზე) საუკუნეების მანძილზე (XIX საუკუნემდე) მკვეთრად გამოყოფილ დომინანტებად რჩებოდნენ ფეოდალური თბილისის განაშენიანებაში. სწორედ ამ ორ უმთავრეს ციხესიმაგრის გარშემო ვითარდებოდნენ თბილისის უბნები: ქალაქის ძირითადი ბირთვი კალა — მარჯვენა ნაპირას და მომცრო ნაწილი — ისანი-ავლაბარი — მარცხენაზე. კედლით გარშემოვლებული კალას საზღვრები დღევანდელ ბარათაშვილის, პუშკინის ქუჩებს და ლენინის მოედანს აღწევდნენ. VI საუკუნის დასაწყისში თბილისში უკვე არსებობს ეპისკოპოსის კათედრა. ქალაქი მნიშვნელოვან საგაჭრო კვანძად იქცა, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბიზანტიასთან, სომხეთთან, სპარსეთთან, ინდოეთთან.

თავიდანვე თბილისის გეგმარების მაორგანიზებელი საწყისი მტკვარი იყო. მისენ იყო მიმართული ქალაქის ძირითადი შენობების ფასადები. მტკვარს პარალელურად მიუყვებოდა ქალაქის მთავარი არტერიაც — „საგჭრო-საზოგადოებრივი ცენტრი“ — დღევანდელი სიონის, ერეკლესა და შავთელის ქუჩების ხაზზე. ეს ღერძი ხაზგასმული იყო სიონის, მთავარანგელოზისა და წმინდა მარიამის (ანჩისხატის) დიდი მოცულობის ტაძრებით.

თბილისის ისტორია ომებისა და მშვიდობიანი დღეების, ნგრევისა და აღმშენებლობის, დაცემისა და აყვავების კალეიდოსკოპური მონაცემებითაა. VIII საუკუნის 30-იან წლებში ქართლში არაბები გაბატონდ-

ნენ და თბილისი ამირას ჩეზილენციად იქცა. იგი არაბების მეტად ვრცელ სავაჭრო სისტემაში აღმოჩნდა ჩართული. არაბების ბატონობისაგან საქართველოს ქალაქების განთავისუფლებისათვის ბრძოლა დასრულდა დავით აღმაშენებლისა (1073-1125) და მისი მემკვიდრეების დროს. თამარის მეფობის ხანაში (1184-1213), თბილისი წინა აზის ძლევამოსილი სახელმწიფოს დედაქალაქად გვევლინება, სახელმწიფოსი, რომელიც კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე იყო გადჭიმული.

ქვეყნის გაერთიანებას თან სდევდა ეროვნული თვითშეგნების ზრდა, ქართული კულტურის ყყვავება. იმ დროს შეიქმნა ქართული ლიტერატურის მარგალიტი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მატიანები, კედლის ფერწერისა და მინიატურების ბრწყინვალე ნიმუშები. ინტენსიურად ვითარდებოდა ოქრომჭედლობა, რომელმაც XII-XII საუკუნეებში მაღალ მხატვრულ დონეს მიაღწია. მრავალფეროვანია არქიტექტურის თემატიკა. ტაძრების, საციხო ნაგებობების, სასახლეების გარდა შენდება საზოგადოებრივი შენობები — აბანოები, ქსენონები, ობოლთა და ქვრივთა თავშესაფარი სახლები. იმ დროს თბილისის ქალაქებშენებლური სტრუქტურა თუმცა კომპაქტურია, მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ძვლავ გაბატონებულია ციხე ციტადელითურთ, რომელსაც მდინარის აღმაგალავნით შემოზღუდული ქალაქის ვრცელი ნაშილი — კალა ესაზღვრება, ხოლო დინების მიმართულებით — ასევე კედლებით დაცული ტერიტორია, მოგვიანებით სეიდაბადი რომ უწოდეს. მდინარის მარცხენა ნაპირზე განაშენანება ისნის ციხის ირგვლივ იყო დაჯგუფებული, რომლის მნიშვნელობაც გაიზარდა მას შემდეგ, რაც მეტებთან მეფის სასახლე აშენდა. ისნის ციხის აღმოსავლეთით ისან-ავლაბრის უბნები გადაჭიმულიყო, ისინი სამხრეთით მტკვარზე გაღმომდეგარი კლდის პირზე წყდებოდნენ.

მშეილობიანი აღმშენებლობის პერიოდი კვლავ შეწყდა XIII საუკუნის 30-იან წლებში. 1226 წელს თბილისი დაანგრიეს და გაძარცვეს ხევარაზმელთა შაპის ჯალალ-ედ-დინის ჯარებმა. XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს უდიდესი უბედურება დაატყდა თავს: მონგოლთა ურდოების შემოსევები რასაც თბილისის არაერთგზის აოხრება მოჰყვა. XV საუკუნის შუა ხანებში თურქებმა მთელი მცირე აზია და ბალკანეთი დაიბყრეს. საქართველო მუსლიმანური სახელმწიფოებით აღმოჩნდა გარშემორტყმული. XV საუკუნის მცოტე ნახევრიდან მოყოლებული XVII საუკუნის დასაწყისამდე თბილის ეპატრო-

ნებოდნენ სპარსელები, თურქები, თურქები, რომლებიც ყოველ-თვის მეღარ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. დამპყრობლებმა არა-ერთგზის დაანგრიეს ქალაქი, მაგრამ საქართვის იყო მცირე ხნის შეს-ვენება და თბილისი კვლავ მკვდრეთით აღდგებოდა ხოლმე.

1730-იანი წლებიდან იწყება, მცირე ისტორიული მონაკვეთი, შე-დარებით მშვიდობიანი პერიოდისა და ქალაქი კვლავ იფარება სამშე-ნებლო ხარახობით; ფრანგმა მოგზაურებმა უან შარდენმა და უოჩეფ-პიტონ ტურქეფორმა რომლებიც თბილისს შესაბამისად 1672 და 1701 წლებში ეწვივნენ, დაგვიტოვეს თბილისის საერთო ხელის ჩვენამდე მოლწეული პირველი ჩანახატები. შარდენის თქმით, იმდროინდელი თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი, მჭიდროდ დასახლე-ბული ქალაქი იყო, მკვიდრად ნაგები ლამაზი ტაძრებით, საზოგადო-ებრივი შენობებით, სავაჭრო რიგებითა და ქარვასლებით.

ქალაქის შესახებ ძვირფას მასალას გვაწვდის XVIII საუკუნის გამოხენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი. განსაკუთრე-ბულ ყურადღებას იპყრობს მის მიერ შედგენილი თბილისის პირველი რუკა. ქალაქის ძირითადი გეგმარებითი სტრუქტურა უცვლელია. ქა-ლაქის განაშენიანებაში კვლავინდებურად ბატონობენ ტაძრებით და-გვირგვინებული ციტადელები, ნარიყალი მარჯვენა ნაპირას და მეტე-ნი — მარცხენაზე. გეგმაზე ნაჩვენებია ვრცელი გარეუბნები მტკვრის ორთავ ნაპირზე. განსაკუთრებით გამოიჩინეა გარეთუბანი, რომელსაც აწინდელ ლენინის სახ. მოედანს, რუსთაველის პროსპექტსა, და მტკვარს შორის მოქცეული ტერიტორია ეკავა, ქაშვეთის ეკლესიამდე.

გალავნით შემოფარგლულ ქალაში იმყოფებოდა მეფისა და მისი ოჯახის, ფერდალების, ეკლესიის წინამძღვრების სასახლეები, ქარვა-სლები. ქალაში ორი ვრცელი მოედანი იყო — თაორისა და მეფის (იგივე ბატონის). პირველს სავაჭრო ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ხოლო მეორეს — საზოგადოებრივი. სწორედ ამ მოედნის ორთავ შხა-რეს, მდინარისპირა ზოლში, იდგნენ ქალაქის დიდი შენობები — ქარ-ვასლები, ეკლესიები, სასახლეები. ქალაში იმყოფებოდა თბილისის განთქმული ბაზრები, ვაჭარ-ხელოსანთა რიგები. ხელოსნები და მედუ-ქნები სამქროების მიხედვით იყვნენ განლაგებულნი, იკავებდნენ რა გარევეულ რიგს, ქუჩას და უბანსაც კი. მთელ ქუჩაზე იყო ჩამწერივე-ბული მღებავების (აწინდელი სამღებროს ქუჩა, ყოფილი ლილახანა), ოქრომჭედლების (დღევანდელი ვერცხლის ქუჩა), იარაღის დამამზა-დებლების, მექანიზების, ხარაზების და ა. შ. რიგები. იმდროინდელი ცნობებით, ქალაქის გარეუბნებში ბალები იყო გაშენებული (ორთაჭა-

ლის, სეიდაბადის, ციხის ბალები, მეფის საგვარეულოს ბალები გარეთ—
უბანში და ა. შ.).

თბილისის შედარებით შშვილობიანი განვითარების პერიოდი იჩღ—
ვევა XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ტრადიციული მტრების —
თურქებისა და სპარსელების შემოსევებით და ლეკთა თარეშით. სპარ-
სელების ბატონობამ 1848 წლამდე გასტანა, როდესაც ქართველებმა
ერეკლე II წინამძღოლობით ისინი თბილისიდან განდევნეს, მაგრამ
მტრების მცდელობა თბილისის დასამორჩილებლად არ წყდება.

უკანასკნელი მეფის გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ ქართლ-
კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთდა. დაიწყო თბილისის ისტორიის
ახალი შშვილობიანი პერიოდი. ქალაქმა ჩრდილოეთის მიმართულებით
იწყო ზრდა, ხოლო თბილისის ისტორიული ნაწილი, ძველი თბილისი,
რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იშუშებდა იარებს.

ისტორიული ხელუკულმართობის გამო მიწის ზედაპირზე არცთუ
ბევრი ძეგლია შემორჩენილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ახალი შშე-
ნებლობა შუასაუკუნოვან ბირთვში ძველი საძირკვლებისა და სარდა-
ცების გამოყენებით წარმოებდა, რამაც განაპირობა ის, რომ ჩვენამდე
მოლწეული განაშენიანება უმეტესად ფეოდალური ხანის თბილისის
დაგეგმვარების ხასიათს ატარებს. იმ ძეგლების უმეტესობას, რომლებ-
მაც ისტორიული ქარტეხილები გამოიარეს და ჩვენამდე მოაღწიოს,
უდავოდ დიდი ისტორიული და არქიტექტურულ-მხატვრული ღირებუ-
ლება აქვთ.

ძველი თბილისის ძეგლები

თბილისის ისტორიული ნაწილი უშუალოდ ქალაქის ცენტრს ემი-
ჭნება. ოდესალაც გალავნით გარშემორტყმული შუასაუკუნოვანი ბირ-
თვი, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ძველი თბილისის ძირითადი
ნაწილი — კალა განლაგებულია ლენინის სახ. მოედანსა და აბანოე-
ბის უბანს შორის, ხოლო მარცხენა ნაპირზე ძველი ქალაქის ნაწილს
უკავია მეტების სიახლოებების განლაგებული ისან-ავლაბრის უბნები.

ქვაფენილიანი ვიწრო ქუჩების ხლართი, გალერეებით გარშე-
მორტყმული პატარა ეზოები, თითქმის მიჯრით შეკიდული აივნები ქუ-
ჩების მოპირდაპირე მხარეებზე, ძველი ეკლესიების გუმბათები, ციცაბო
ქუჩა-კიბეები, ხრამზე გაღმოყიდებული სახლები აუტრული აივნებით,
აბანოების კამარები, გარემოზე კვლავინდებურად გაბატონებული უძ-

ველუსი დედაციხის შთამბეჭდავი ნანგრევები ძეველი თბილისის თვალ-წარმტაც სურათს ქმნიან.

ნარიყალა თბილისის მთავარი ციხესიმაგრე, მისი დედა-ციხე ოდით-განვე მთის სხვადასხვა სიმაღლის ბაქნებზე განლაგებულ რთულ ფორ-ტიფიკაციურ ნაგებობას წარმოადგენდა. ციხის პატრონები პრაქტიკუ-ლად ქალაქს ფლობდნენ. XVII საუკუნის სპარსი ისტორიკოსი ისკან-დერ მუნში აღტაცებული აღწერს ციხის შეუვალობას: „ციხის კოშკები იმდენად მაღალი არიან, რომ ცის კამარას უტოლდებიან. ვერცერთი ქვეყნის ხელმწიფებ ვერ შეძლო ამ ციხის აღება, რადგან მას სამი მხრი-დან ცამდე აღმართული მთები არტყია გარს, ერთი მხრიდან კი მტკვრის წყალი ჩაუდის, ამიტომ აქ ჯარის განსაღაებელი ადგილი არ არის...“

თვედაპირველად ნარიყალა ციტაცელის ყველაზე მაღალ ნაწილს ეწოდებოდა, შემდგომში კი სახელწოდება მთლიანად „ზემო ციხეზე“ გავრცელდა. მკვლევართა აზრით, თბილისი ციხის სახელწოდება ორი ნაწილისაგან „ნარინ“ და „ყალასაგან“ შედგება. „ნარინ“ მონგოლურ „მცირეს“ შეესატყვისება, ხოლო „ყალა“ თუ „კალა“ წინა აზიაში გა-ვრცელებული ტერმინია და ციხეს ნიშნავს. საეჭვოა, მოიძებნოს მეო-რე ციხესიმაგრე, რომელსაც ესოდენ ბობოქარი ისტორია ჰქონდეს. ნგრევა, აღდგენა, შეკეთება, დაშენება ერთმანეთს ცვლილა. შემორჩე-ნილი კედლები წყობის ხასიათით განსხვავდებიან და ჭრელ სურათს ქმნიან. უმეტესად აგურებით მოჩრიობული კედელი უხეშად თლილი ქვითაა ამოყვანილი, ნაწილი კი ნითლიანად აგურითაა ნაგები. პირვე-ლი მათგანი შუა საუკუნეებს განეკუთვნება, მეორე კი უფრო გვიანდე-ლია. ყველაზე ადრინდელ ნაწილს ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთ-ხეში შემორჩენილი კოშკის ფრაგმენტი წარმოადგენს, რომელიც თლი-ლი ქვითაა ამოყვანილი და შესაძლოა დაარსების დროიდან მოღის.

ნარიყალაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა საინტერე-სო შედეგები გამოიღო. გაითხარა და გაიშმინდა XIII საუკუნის სასა-ხლისეული ეკლესიის ნაშთები, რომელიც, როგორც ჩანს, აუცელე-ბიათ და დაუწვავთ. მიაკვლიერ აგრეთვე ისეთ მასალას საშუალებას რომ აძლევს მკვლევარებს ივარაუდონ, აქ უფრო ადრე აგებული ტა-ძარიც უნდა ყოფილიყო.

შაპტახტი ციხის გალავანი ნარიყალადან სოლოლაკის ქედს მიუკვე-ბოდა (ახლანდელი კომედიირის ხეივნის ხაზზე) და მთავრდებოდა ეგრეთ წოდებულ შაპტახტიან — მძლავრ ფორტიფიკაციურ კომ-ლექსთან, რომელიც ქალაქს დასავლეთიდან იცავდა. შაპტახტის ნარ-ჩენები დღესაც აღმართულია კომედიირის ხეივნის დასაწყისში. ცალ-

კეული ცნობებით, შაჰტახტიში IX საუკუნიდან ჩნდება არაბების მიერ დაარსებული ობსერვატორია. თბილისის ობსერვატორიას იხსენიებს X საუკუნის არაბი გეოგრაფი ალ-ისტაბრი. ობსერვატორიამ 1837 წლამდე იარსება.

თბილისის აბანოები ა. ს. პუშკინი აღნიშნავდა: „არაფერი შემხვედრია არც რუსეთში, არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო მშვენიერი“.

აბანოების უბანი თბილისის უძველესი ნაწილია. სწორედ აქ აღმოცენდა პირველი დასახლება, აქ დაირწა საქართველოს დედაქალაქის აკვანი. აბანოების უბანი იწყება გორგასალის მოედნის ოდნავ ქვემოთ, ვრცელდება წაგისისწყლის ხეობის ბოლომდე და თაბორის მთის კალთის მცირე მონაცემთხე. გოგირდოვანი ცხელი წყლის წყაროები თაბორის მთიდან იღებენ სათავეს. თბილისურ თერმულ წყლებს მაღალი საძურნალო თვისებები გააჩნიათ. წყაროების ტემპერატურა მერყეობს 24°-დან 47°-მდე.

თბილისის აბანოები მოიხსენიება ძველ საბუთებზი და მოგზაურთა იღწერებში. X საუკუნის არაბი გეოგრაფის სიტყვებით: „აქ წყალი უცეცხლოდ დუღს“. ძველი თბილისის აბანოებს მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულება როდი ჰქონია. ისინა გარკვეულ საზოგადოებრივ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. ძველი თბილისის ჩვევების მცოდნე და შემთხვევა ი. გრიშაშვილი წერდა: „წინათ აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო, ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსული გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა... ორ შაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა“ ან კიდევ: „აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდეც. მერე ჩაის სმა იწყებოდა. ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა... ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც“. აბანოებში დროსტარება ხშირად ფინალი იყო თბილისელი მოქეთვე ბოჭემისათვის.

თბილისის აბანოები, ისევე როგორც ქალაქის სხვა ნაწილები, არაერთხელ დაუნგრევიათ, ალუდგენიათ, გადაუკეთებიათ. ჩვენამდე მოღწეული აბანოების უმეტესობა XVII საუკუნით თარიღდება. აბანოების სხელი მისი მფლობელის ვინაობას ასახავდა (ერეკლეს, მეთარის, ენალს აბანოები) ან რაიმე ნიშან-თვისებიდან გამომდინარეობდა („გრილი აბანო“, „ჭრელი აბანო“, „პატრუქის აბანო“), აბანოების დიდ ნაწილს ირანული არქიტექტურის კვალი აჩნია (თაღების, ნიშნების წაისრული მოხაზულობა). „აღმოსავლურ“ ფორმებში გადავეთ-

და XIX საუკუნეში ეგრეთ წოდებული „ჭრელი აბანოც“. მან სახელი მიიღო სხვადასხვა ფერის შორენეცებიდან, რომელებითაც მოპირებულია კუთხეებში მინარეოების მსგავსი კოშქებით დაგვირგვინებული პორტალი. აქ, ისევე როგორც სხვა აბანოებში, დარბაზები მიწის დონის ქვევით არის განლაგებული და გადახურულია კამარებით. დარბაზები გუმბათოვანი კამარების თავზე მოწყობილი სასინათლო ფარნებით ნათდება. ვრცელი დარბაზები მარმარილოთია მოპირეთებული. ბეტუთას (გვიან „საგარნიზონო“) აბანოს გეგმარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პირდაპირი დანიშნულების გარდა, მას საზოგადოებრივი შენობის ხასიათიც ჰქონია. ვრცელი დარბაზის იატაკი ფილებითაა მოპირეთებული და სფერული გუმბათითაა გადახურული. აღრე კამარა და კედლები ფერწერული ნიმუშებით იყო დაფარული. დარბაზის შუაგულში, აუზებია მოწყობილი, ხოლო კედლებში დატანილ ნიშებში მასაუისათვის განკუთვნილი ქვის საჭოლები დგას. საბაზანო დარბაზის წინ ასევე სფერული გუმბათით გადახურული რეაქტანავიანი ვესტიბიული მდებარეობს.

აბანოების უბანში და მიმდებარე ტერიტორიაზე უწინ ბაღები იყო გაშენებული. ახლა აბანოების უბანში სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად პირველ ყოვლისა განახლდა ერეკლეს აბანოების კომპლექსი. ფეოდალურ თბილისში კიდევ ერთი აბანი იყო თვით კალაში. იგი სასახლის კოპლექსში შედიოდა და კომპლექსის აღმშენებელი მეფე როსტომის (1632-1658) სახელით არის ცნობილი („როსტომის აბანო“). შენობა შემორჩენილია. მისი გუმბათები მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე გადის. იქ მისვლა ერეკლეს შეედნიდანაც შეიძლება. შენობის კედლები კვადრატული ფორმის ბრტყელი აგურითაა ამოყვანილი. რვავე ოთახი გუმბათითაა გადახურული და ზემოლან ნათდება. სქელ კედლებში ისრულობიანი ნიშებია მოწყობილი. ერთ-ერთ თბილი შემორჩენილია „სგრაფიტოს“ ტექნიკით შესრულებული ორნამენტის ფრაგმენტი.

აჩჩისაზატი მდებარეობს შვეთელის ქუჩასა და სანაპიროს შორის. ეკლესია აგებულია VI ს-ში მეფე ვახტანგ გორგასალის მექვიდრის — დაჩი უჯარმელის ზეობის ხანაში, რომელმაც აღასრულა ვახტანგის ნებასურვილი დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გაღმოტანის თაობაზე. სამნავიანმა ბაზილიკამ ჩვენამდე საგრძნობი გადაკეთებებით მოაწია, რომელთა უმრავლესობა XVII საუკუნით თარიღდება. გადაკეთებები შეეხო როგორც გარე სახეს, ასევე ინტერიერს და განსაკუთრებით — შენობის მაღალ ნაწილებს. აბსიდას, მთავარ თაღს, საკურ-

თხევლის სარქმელს შენარჩუნებული აქვთ პირვანდელი ნალისებრი გადამდებრებული მოყვანილობა, რაც დამახასიათებელია ქართული აღრექრისტიანული ხანის არქიტექტურისათვის. 1958 წელს სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოებმა (არქიტექტორი რ. გვერდშითელი) ჩაატარეს მნიშვნელოვანი სარესტავრაციო სამუშაოები ტეგლის გაიანდელი დანაშრევა-ბისაგან განთავისუფლების მიზნით. იატავის დონე დაწის 1,5 მ-ით პირვანდელ დონემდე, მოარღვიეს XIX საუკუნეში დასავლეთის ფა-სადზე მიშენებული სამრეკლო და ბაზილიკაზე დაშენებული ცრუ გუმ-ბათი. სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად საკურთხევლის აბსიდა-ში გაიხსნა XVII საუკუნის ფრესკების ფენა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადების პირნაკეთობასა და ასევე სამხრეთის ფა-სადის ქვედა ნაწილზე ნათლად იყიდება უძველესი წყაროები, რომ-ლებიც თარაზულნაკერიანი გლუვად დამუშავებული კვადრებითაა მოყვანილი. გვიანდელი სამრეკლოს მოშლის შედეგად დასავლეთის ფასადზე გამოჩნდა მედალიონში ჩასული ჯვრის გამოსახულება და შესასვლელის თავზე მოქცეული ნალისებრი ფორმის ლუნეტი. დღევან-დელი სახელწოდება ბაზილიკამ XVII საუკუნეში მიიღო იმ ხატის პატივსაცემად, რომელიც აქ ანჩის ტაძრიდან გადმოასვენეს. ანჩისხა-ტის ბაზილიკა ქართული აღრექრისტიანული ეპოქის უმნიშვნელოვა-ნესი ძეგლია.

ბაზილიკის დასავლეთის ფასადიდან რამდენიმე მეტრის დაშორე-ბით, შედარებით მაღალ ნიშნულზე დგას ორიარუსიანი სამრეკლო, რომლის ქვედა ნაწილიც თაღოვანი გასასვლელია. დაბლა მდგარი ბაზილიკისაენ კიბეებს ჩავყავართ. გასასვლელის თავზე, მეორე სარ-თულზე საცხოვრებელი სათავისა, რომლის ინტერიერი დამუშავებუ-ლია ისრული თაღებითა და ნიშებით. ნაგებობა, ქვითნაშენი სამრეკ-ლოს გამოკლებით, აგურით არის ამოყვანილი. აგურითვეა ნაგები სამრეკლოს კარვისებური გუმბათიც. კარიბჭის თავზე მოქცეული წარ-წერა გვაუწყებს, რომ სამრეკლო აგებულია ქართლის კათალიკოსის დომენტის მიერ 1675 წელს. სამრეკლო აგებულია იმ ხანაში, როდე-საც საქართველო პოლიტიკურად დამოკიდებული იყო ირანზე, რამაც ქვალი დაამჩნია იმღრინიდელი შენობების არქიტექტურას და მათ შორის — ანჩისხატის სამრეკლოს (აგურის წყობის ხასიათი, ისრული თაღები და ნიშნები).

სიონი ტაძარს სახელი იერუსალიმის სიონის მიხედვით შეერ-ქვა და ღვთისმშობლის სახელზეა აგებული. კათედრალური ტაძარი განაშენიანების ხაზის სილრჩეში დგას და დასავლეთის ფასადით სიო-

ნის ქუჩაზე გადის, ხოლო ომოსავლეთის ფასადით — სანაპიროს კენ. ტაძრს საფუძველი ჩაეყარა VI საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის გამგებლის გუარამის დროს, ხოლო მშენებლობა დასრულდა VII საუკუნის 20-იან წლებში ადარნასეს გამგებლობის ხანაში.

თბილისის უმთავრესმა ქრისტიანულმა სამღლოცველომაც გაიზიარა ქალაქის სტორიის ბედუქულმართობა. ეკლესია არაერთხელ დაუნგრევიათ და გაუძარცვიათ. XIII საუკუნეში ხვარაზმელების შემოსევისას ჩამოიქცა გუმბათი და ტაძარში კარავი დადგეს. სიონი არაერთხელ დანგრეულა და გაპარტიახებულა სპარსელების შემოსევისას XVI და XVII საუკუნეებში. როგორც გარედან, ასევე ტაძრის შიგნითაც რამდენიმე სამშენებლო შრე გაირჩევა და ამიტომ ძნელია ჩვენამდებოდებული სიონის არქიტექტურა მივაკუთვნოთ რომელიმე ერთ კონკრეტულ ეპოქას. მისი დღევანდელი კომპოზიცია, როგორც ჩანს, XII-XIII საუკუნეებშია ჩამოყალიბებული. ტაძარი ბოლნისის ტუფით მოაპირეოეს 1710 წელს.

ტაძარი ცენტრალურგუმბათოვანი ნაგებობაა, წახნაგებიანი აბსიდების სახით განვითარებული აღმოსავლეთის ნაწილით. გუმბათი საკურთხევლის კედლებსა და ორ ბურჯზე ამოყვანილ კამარებს ეყრდნობა. კამარებს და თაღებს ისრული მოხაზულობა აქვთ, რაც XVI საუკუნის გადაკეთებით აისნება. გარე მოჩუქურობება თავშეკავებული და სადაა. შედარებით მდიდრულად არის ორნამენტირებული გუმბათის ყელი. 1860 წელს ტაძრის კედლები მოხატეს ცნობილი რუსი მხატვრის გრიგოლ გავარინის ესკიზების მიხედვით. მანვე შეაღინა კანკელის პროექტიც.

1978 წელს საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით სიონში დაიწყეს სარესტავრაციო სამუშაოები. გახსნილი ცოდნლის ძევლი წყობა გეგმის პირველდელი მოხაზულობის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

ტაძრის ჩრდილოეთით მდგომი სამრეკლო 1425 წელსა აგებული. სპარსელების 1795 წლის შემოსევისას დაინგრა მისი ზედა ნაწილი, რომელიც ჩვენ დროში აღდგა. რაც შეეხება მაღალ სამრეკლოს სიონის დასავლეთით, ქუჩის გადაღმა, იგი აშენებულია 1812 წელს და თბილისში შემოტანილი რუსული კლასიცისტური არქიტექტურის პირველი ნიმუშია.

ლესელიძის ქუჩა, რომლის გამწვრივ შუა საკუნეებში სავაჭრო-სახელოსნო რიგები — „შუა ბაზარი“ — იყო განლაგებული, კალას ორ ნაწილად ყოფს. ამ ქუჩაზე შემორჩა საკულტო შენობები: სინაგოგა,

საქართველოს იურიდიკული მუზეუმი

ქართული ეკლესია ჯვარისმამა და სომხური ტაძარი ნორაშენი. ერთ-მანეთის გვერდით მდგომი ეს ორი ეკლესია ქუჩის განაშენიანებაში წარმოქმნილი გარღვევის წყალობით სივრცობრივად სიონს უკავშირდება.

„ჯვარისმამა“ დგას რიცინაშვილისა და ლესელიძის ქუჩების გადაკვეთის ოდნავ მაღლა. შენობა აგურით არის ნაგები. გუმბათიანი ეკლესია, რომელმაც დღემდე მოაღწია, აშენებულია XVI საუკუნეში V საუკუნეში აგებული და მონვალების მიერ დანგრეული აღრინდელი ეკლესის აღგილზე. ეკლესია იერუსალიმის მონასტრების მონაზონთათვის აშენდა, რომელთა რიცხვში წმინდა ჯვარის მონასტერიც იყო. აქედან მოდის ეკლესის სახელიც, რომელიც კვლავ დაინგრა სპარსელების შემოსევისას 1795 წელს და აღადგინეს 1825 წელს, რაზედაც მეტყველებს დასავლეთის შესასვლელის თავზე მოთავსებული წარწერა. ფასადების მოქრძალებული სამკაულია აგურში გამოყვანილი ჯვრის გამოსახულებანი. გუმბათი წახნაგოვან ყელზეა ამოყვანილი. ბევრი კედლის ფერწერიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი საკურთხევლის აბსიდაში.

ნორაშენი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია აგებულია 1793 წელს. ცენტრალურგუმბათოვანი შენობა ლესელიძის ქუჩაზე აღმოსავლეთის ფასადით გამოდის. კედლის მხატვრობა 1840-იან წლებშია შესრულებული. ეკლესის სახელი სომხურად ახალშენს ნიშნავს.

კალას ტერიტორიაზე რამდენიმე გვიანდეოდალური ხანის საკულტო ნაგებობაა შემორჩენილი.

სასახლისებული წმინდა გიორგის ეკლესია დგას ერეკლეს მოედნის ახლოს გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლის უკან, რომელიც თეატრალურ ტუზეუმად არის გამოყენებული. ეკლესია ომოსავლეთის ფასადით შევთელის ქუჩაზე გადის. დასავლეთიდან ფასადს ამთავრებს მცირე სამრეკლო. ორქანობიანი სახურავის შუა წელზე დაბალ ყელზე ამოყვანილი გუმბათი დგას. ფასადებს და სამრეკლოს ნათლად ემჩნევა XIX საუკუნის გადაეთებების კვალი. ეკლესის მშენებლობა, მონვალების მიერ დანგრეული მთავარანგელოზის ტაძრის აღგილზე, მეფე როსტომ და ბატონიშვილმა სკიმონმა დაასრულა 1710 წელს.

კალაში შემორჩენილ საკულტო ნაგებობათა შორისაა XVI-XVII საუკუნეების მიზნაზე აშენებული კლდის სუბნის წმ. გიორგის ეკლესია. კლდის უბანშივეა ეგრეთ წოდებული ათე შეკას — ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძრის ნანგრევებიც. აგურით ნა-

გები ნანგრევების თაობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგიერთი მათ მეჩეთის ნაშთად მიიჩნევს. ნანგრევები დგას ფეხთაინის სამრეკლოს გვერდით, სოლოლაკის ქედის ფერდობის განაშენიანების ნაპირას.

კალაში გვიანფეოდალური ხანის რამდენიმე ეკლესია განლაგებული. ზოგიერთი მათგანი სომხურმა თემმა შეისყიდა ქართული ეკლესისგან, რაღაც იმ დროს, გამანადგურებელი ომების შედეგად, ქართული ეკლესის მრევლი საგრძნობლად შემცირებული იყო, სხვები კი ახლად წაგებია.

ბეთლემის ეკლესია 1740 წელს განახლა თავადმა გივი ამილახვარმა. გაღმოცემით ამ აღგილზე იდგა ვახტანგ გორგასალის ხანაში აგებული უძველესი ეკლესია. XVIII საუკუნეში ეკლესია სომხურმა თემმა შეიძინა და მას შემდეგ ფეოთხაინი უწოდეს. აქედან მოყოლებული ეკლესია რამდენჯერმე გადაკეთდა. გუმბათიანი შენობა სოლოლაკის ქედის ფერდობზეა აღმართული, ეგრეთ წოდებული ფეხთაინის კიბის ბოლოს. ბეთლემის ეკლესის ცალკე მდგომი სამრეკლო XVI საუკუნეშია აშენებული.

მოღნინი ფეხთაინის კიბის დასაწყისის სიახლოეს, ახოსპირელის ქუჩაზეა. ჩვენს მდე მოღწეული გუმბათიანი ეკლესია 1751 წელს არის აშენებული. ფრანგი მოგზაურის უან შარლენის ცნობით, ამ აღგილზე უფრო აღიანდელი ეკლესია მდგარა.

სურფ-ნიშანი („წმინდა ჯვარი“) ძველი თბილისის განაშენიანებაში განორჩევა აბსოლუტური ზომებითა და მაღალი გუმბათით. სურფ-ნიშანი ნახესები აქვს უან შარლენს, მაგრამ დღევანდელი გუმბათიანი ეკლესია 1701 წლით თარიღდება. მის არქიტექტურაში აშენარი ჩანს გვიანდელი გადაკეთებები. ეკლესია ლესელიისა და ვერცხლის ქუჩების გარავვეთის ონგავ ჩრდილოეთით დგას. აშენება ეკლესის შენობა წიგნსაცავად არის გამოყენებული.


იმ ნახებობათა უორის, რომლებიც თავის დროზე სომხურმა ეკლესიამ შეიძინა, აღსანიშნავია წმ. გორგის სახელზე აგებული ციხის დიდი ეკლესია (ვახუშტის მიხედვით — „ციხის დიდი საყდარი“), რომელსაც სომხებმა „სურფ-გევორქი“ უწოდეს. გუმბათიანი ეკლესია დგას დღევანდელი გორგასალის მოედნის სამხრეთ-დასევლეთით და მას კიბებით უავშირდება. ახლა ძნელი დასადგენია, თუ როგორის აშენდა ამ აღგილას პირველი ეკლესია. ზოგიერთი ცნობით, საყდარი XII საუკუნეში განახლებულა. ამის შემდეგ ტაძარი რამდენჯერმე დანგრეულა და აუშენებიათ. დიდი ხნის განმავლობაში ციხე

9419365424
BANZI MAMOLO

TIFLIS

- A La Rotonde
- B L'Ecole nationale Sainte
- C Le Monastere du Pacha
- D St. George
- E L'Eglise et le Palais du Catholicos
- F La Cathedrale blanche ou l'Eglise de la Reine
- G L'arriere-ville
- H L'Eglise de Nogay
- I L'Eglise de Belzirien


- K La Régence
- L Les Imaginaires
- M La Place des Princes
- N Les Tentes Rouges
- O Les Imaginaires Publics
- P La Cathedrale des Morts
- Q La Cathedrale du Prince
- R La Plage des Princesses
- S La Plage d'armes



ობილის XVII ს-ის გეორგ ნახევარში

ობილის 1701 წელს

TIFLIS Capitale de Géorgie.






ԹՅՈԼՈՅԸ ԽVIII և-ու գասաժրալուն

ԺՅԵԼՈ ԹՅՈԼՈՅԸ





ნარიყალა. ფრაგმენტი



მექოთნეების დუქანი




ჭრელი აბანო




ანჩისხატი

სიონი



ნორაშენი






ათენის



ბერლემი (ფერხაინი)



საჩინო



მეტეხი



საცხოვრებელი სახლი ალავერ-
დოვის მოედანზე



ქარგასლა სიონი ქუჩაზე



საცხოვრებელი სახლი გომის ქუ-
ჩანე




საცხოვრებელი სახლი პირველი
ნაისის ქუჩაზე




ბოტანიკური ბაღი

ვახტანგ გორგასალის ძეგლი




ფიროსმანის ძეგლი




ბაჩათაშვილის ქუჩა





ბარათაშვილის ქუჩა

ბარათაშვილის ქუჩა






საყავი

საჭაშნეულო





საცხოვრებელი სახლი კიბალჩინის
აღმართზე

კიბალჩინის აღმართი



საცხოვრებელი სახლი სანაპირო-
დან




პირისძის უბანი



სასტუმრო კიბალჩიხის აღმართზე

სანაპიროს ფრაგმენტი





მარდენის ქუჩის და ბაზ-
ბის რიგის კუთხე



მარდენის ქუჩა

სპარსელთა ხელში იყო. სპარსელების განდევნის შემდეგ 1770-იან წლებში მეფე ერეკლებ შენობა კვლავ სომხურ თემს დაუბრუნა.

მეტეხი ღვთისმშობლის სახელზე აგებული მეტეხის ტაძარი თითქოს კლდესთან უზრდილი დგას მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გადმოდებით, პირველი ეპლესია ამ ადგილზე V საუკუნეში აშენდა და იგი მონლოლებმა დაანგრიეს. დღევანდელი ტაძრის ადგილზე უფრო ადრინდელი ნაგებობის არსებობაზე მიუთითებენ როგორც ლიტერატურული წყაროები, ასევე მატიანეები. დღემდე მოღწეული ტაძარი აგებულია XIII საუკუნის 80-იან წლებში. მისი კომპოზიცია მარტივი და ლაკონიურია. გეგმის საფუძველს სწორკუთხედი შეადგენს, რომლის შუა ნაწილში გუმბათის მზიდავი ოთხი სკეტია აღმართული. აღმოსავლეთის ფასაძს სამი გამოწეული ნახევარწრიული აბსიდა ქმნის, რომელთანაც საშუალო — შედარებით დიდი ზომისაა. ფასაძზე მოცულობით გამოკვეთილი აბსიდები ის ნიშანდობლივი თვისებაა, რომელიც მეტეხის ტაძარს იმ პერიოდის სხვა ეკლესიებისაგან გამოაჩინეს. კედლის თავდაპირველი წყობა შესრულებულია თლილი ქვის კვადრებით. ადგილ-ადგილ დანგრეული კედლები ერეკლე II დროს აგურით განუახლებიათ. ყურადღებას იპყრობს ტექნიკურად კარგად შესრულებული ოჩნამენტაცია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ჩრდილოეთის ნართექსი, რომელსაც საგრძნობი გაღაეთებების ქვალი ამჩნევია. გუმბათის ყელი, ჩამოქცეულა ერეკლე II ჭარის მიერ მეტეხის ციტადელის დალაშეკრისას და იგი აგურით აღუდენიათ XVIII საუკუნეში.

1974 წელს ტაძრის შენობა, რომელიც მანამდე სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყო გამოყენებული, ექსპერიმენტულ ახალგაზრდულ თეატრს დაეთმო. შენობის ცენტრში, გუმბათის ქვეშ განლაგებული სცენა სამი მხრიდან გარშემორტყმულია მაყურებელთა ადგილებით.

შეტეხის პლატოს რეკონსტრუქციამდე (1960-იანი წლები), ტაძრისაგან დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით, ჩანდა მეფის სასახლის ნარჩენები თლილი ქვით ამოყვანილი კედლის ფრაგმენტების სახით.

საჩინო მეტეხის კლდის ძირას იწყება კიბეების სისტემა, რომელსაც დედოფალ დარეჯანის რომანტიკული იერის მქონე სასახლისაკენ — საჩინოს აქენ მივყევართ. საჩინო მართლაც რომ გამორჩეულია გარემო განაშენიანებაში და დიდ სივრცეზეა გაბატონებული.

საჩინო აშენებულია ერეკლე II შეუღლის მიერ 1776 წელს. სასახლე, სასახლისეული ეკლესია და დამხმარე ნაგებობები გარშემორტყ-

საქართველოს
კულტურული
მემკვიდრეობის
მუზეუმი

შული იყო გალავნით. სასახლის ძირითადი ნაწილი ავლაბრის ციხეში სისტემის მკვეთრად გამოწეული კუთხის ბურჯზეა დადგმული. ციხის კედლები ამოყანილია ქვისა და ბრტყელი აგურის წყობების შენაცვლებით. სასახლის მრგვალი შენობა მაღალ კედელზეა შეკიდული. მრგვალ შენობაში რამდენიმე სათავსია. ყურადღებას იპყრობს ხის აივანი, რომელიც ვარს უვლის მძლავრ კედლის ბურჯს. კონსოლებზე გადმოსული აივანი მეტად შთამბეჭდავია. 1807 წელს, სანკტ-პეტერბურგში დელოფლის გამგზავრების შემდეგ, ქედარის დაარსდა ფერისცვალების მონასტერი (1822 წ.), ხოლო 1862 წელს მოთავსდა სასწავლებელი და სემინარია სასულიერო პირთა შვილებისათვის. ამ დროს გადაკეთდა შიდა სათავსები და მოისპო ჭერისა და კედლების ორნამენტიცია, შესრულებული აღმოსავლური მოტივების გამოყენებით. განახლდა სასახლისეული ეკლესია. შემდგომ წლებში შენობა პლატოს მხრიდან სხვადასხვა მინაშენით დაიფარა.

1982 წელს დამთავრდა საჩინოს ძირითავიანი რესტავრაცია.

მარგასლები

შუა საუკუნეების თბილისს მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრში ქარვასლები ჭარბობდა. ყველაზე დიდი ქარვასლები აწინდელ სიონის ქუჩაზე იდგა. სპარსელების 1795 წლის შემოსევისას ისინი დაანგრიეს და მათ ადგილზე XIX საუკუნეში ახალი ქარვასლები გაშენდა. 1850 წლისათვის თბილისში 13 ქარვასლას ითვლიდნენ.

თუმცა ქარვასლები განსხვავებულ გარემოსა და სხვადასხვა დროს შენდებოდა, მათ ტრუქტურაში მაინც შეიძლება მოიძებნოს საერთო ნიშნები. ორ ან სამ სართულად განლაგებული სათავსები ჩვეულებრივ გარს ერტყმიან შიდა ეზოს. ამასთან, ზედა სართულებზე სასტუმრო თახები იყო, ხოლო პირველ სართულებზე — დუქნები, სახელოსნოები და საწყობები. საწყობად იყენებდნენ საქმიოდ განვითარებულ სარდაფის სართულებსაც. ზოგჯერ ლია ეზოს მაგივრად შენობის ცენტრში მოქცეული იყო დიდი ზომის დარბაზი, თავისებური ვესტიბიული, რომლის პერიოდეტრზეც იარუსებად განულაგებით სათავსები. ვესტიბიული ზემოდან ნათდებოდა. ზედა სართულის თახები ეზოსა და ვესტიბიულის გარშემო მოწყობილ გალერეა-დერეფნებზე გამოდიო-

და. ისეთი ქარვასლებიც შენდებოდა, რომელთაც შიდა ეზოები არ ჰქონდათ და გარედან მთელ პერიმეტრზე ღიასვეტებიანი გალერეები გასდევდა. ჩვენამდე მოაღწია სიონის ქუჩაზე განლაგებულმა რამდენიმე ქარვასლამ, რომელსაც ახლა სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებენ.

თეკლეს ქარვასლა (სიონის ქ. № 13) თავისი ფუნდამენტურობით გამოირჩევა. იგი აშენებულია მეტის ფუნდუქის ძველ ადგილზე, რომელიც საბუთებში 1672 წლიდან არის მოხსენიებული და აღნიშნულია თბილისის 1735 წლის გეგმაზე. შიდა ეზოში ადრე აუზი ყოფილა მოწყობილი. სასტუმრო ნაწილი 62 ოთახისაგან შედგებოდა. ევემოთ 30 ბაღაზია და სხვადასხვა სახის სახელოსნო ყოფილა. ვრცელ სარდაფებს საწყობებად იყენებდნენ. დღემდე მოღწეული მისი არქიტექტურული სახე გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც შენობისადმი „აღმოსავლური“ იერის მინიჭების ტენდეციამ იჩინა თავი.

არწრუნის ქარვასლა (მფლობელის სახელი), სიონის ქუჩა № 8, ერთ-ერთი პირველთაგანია XIX საუკუნეში აგებულ ქარვასლთაგან. იგი სიონის ქუჩას და მტკვრის სანაპიროს შორის არის მოქცეული. შენობა ააგეს სპარსელების 1795 წლის შემოსევის შედეგად დანგრეული ძველი ქარვასლის ნანგრევებზე, რომელიც მეფე როსტოკის მარკგრაფი ააშენა 1650 წელს და თბილისის ეპისკოპოსს — თბილელს უბოძა. ახალი ქარვასლა ადრინდელის კონტრუს იმეორებს. მის ცენტრში დიდი ეზოა, საღაც მშევნეოერი აუზი ყოფილა მოწყობილი. ერთ-ერთი კედლის ნიშაში მერქურის (ვაჭრობის ღმერთის) ქანდაკება მდგარა. შიდა ეზო გალერეებით არის გარშემორტყმული. ქარვასლის 25 სარდაფში საქონლის საწყობები იყო. პირველი სართულის 11 ღუქანს ტანსაცმლი-სა და ფეხსაცმლის მქერავი ოსტატები ქირაობდნენ. მეორე სართულზე განლაგებულ 25 მაღაზიაში ევროპული და აზიური შალეულით, აბრე-შუმითა და სხვა საქონლით ვაჭრობდნენ. ზემო სართულზე კი 33-ნომრიანი სასტუმრო იყო მოთავსებული. შემდეგდროინდელმა გადაკეთებებმა სრულიად უცვალა მას ფასადები. პირველად ქარვასლა 1855 წელს გადაკეთდა, დიდი ხანძრის შემდეგ, ხოლო 1912 წელს „მოდერნის“ სტილში რაღიყალურად შეიცვალა სიონის ქუჩაზე გამავალი ფასადი. 1983 წელს ჩატარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პირვანდელი სახის მაქსიმალურად აღდგენის მიზნით მას ჩამოაცილეს გვიანდელი მინაშენები.

ერეკლეს ქუჩაზე (№ 10) შემორჩენილია მეტად საინტერესო ორ-სართულიანი ქარვასლა, საღაც დღეს საცხოვრებელი ბინებია განლა-

2. ო. კვირკველა

გებული. ვიწრო გასასვლელს მივყავართ ორსინათლიან გადახურულებულები ეზო-ევსტიბიულში, რომლის პერიმეტრზეც განლაგებულია სათა-ვსები. მეორე სართულზე ვესტიბიულს გარს ეკვრის ღია აივანი — გალერეა. შემორჩენილია აგრეთვე თაღებითა და კამარებით გადახუ-რული სარდაფები, რომლებიც ადრე საწყობებად გამოიყენებოდა. ყურადღებას იძყრობს ვესტიბიულში, მეორე სართულის გასწრივ გან-ლაგებული ორამენტები, რომლებიც „სტუკის“ ტექნიკითა შესრუ-ლებული (მაღალხარისხოვანი ბათქაში, რომელიც იძლევა გაპრიალები-სა და საჭრისით დამუშავების საშუალებას).

თბილისში ქარვასლების მშენებლობა გასული საუკუნის 70-იან წლებში წყდება.

გველი თბილისის საცხოვრებელი სახლები

ცველი ქალაქის საერთო ფონს, მის თავისებურებას განუმეორებელ კოლორიტს უქმნის გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლებისაგან შექმნილი ეგრეთ წოდებული „რიგითი განაშენიანება“. „მრავალაივ-ნიანი თბილისი“ — ასე უწოდა ქალაქს რუსმა პოეტმა ი. პოლონსკიმ, რომელმაც თბილისში 7 წელს იცხოვრა და ზეღმიწევნით შეისწავლა ქართული კულტურა და ისტორია. ეს გონიერამახვილური განსაზღვრა ზუსტად ასახეს XIX საუკუნის თბილისის საცხოვრებელი სახლების თავისებურებას. ქალაქური სახლის ცნობილი ტიპი, რომელსაც „თბი-ლისურ სახლს“ უწოდებენ, ძირითადად გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის ჩამოყალიბდა.

გასული საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყეს „სანიმუშოფასადე-ბიანი“ საცხოვრებელი სახლების დანგრევა. ამგვარი სანიმუშო ფასადე-ბი გვიანდელი კლასიციზმის ატრიბუტებს შეიცავდა და უცხო არ იყო ადგილობრივი ტრადიციებისათვის. საცხოვრებლის მშენებლობის ადგილობრივი ტრადიციები თანდათან თავს იჩენს არა მხოლოდ გეგ-შარებაში, არამედ ფასადებშიც. 1830-იან წლებში მკაფიოდ ვლინდება თბილისური სახლის ის ტიპი, სადაც კლასიცისტური ფორმები ორგა-ნულად ერწყმის ადგილობრივ ელემენტებს — ვრცელ აივანს. გეგ-შარების საფუძველია აივანზე გამოსული ანფილადურად. განლაგებული ოთახები. აივნები იმდენად დიდია, რომ ხშირად ოთახების საერთო ფართობს არ ჩამოუვარდება. აივანზე ასასვლელად ღია კიბეები ეწყო-

მარტინ გურგეგოვა
საქართველოს ისტორიკოსი

ბოლდა (უმეტესად ეზოს მხრიდან). ამასთან, უამრავი არქიტექტურულ-კომპოზიციური გეგმარებითი ვარიანტები გამომდინარეობდა რელიეფის ხასიათიდან, ნაკვეთის მოყვანილობიდან და ა. შ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ XIX საუკუნის განაშენიანება უმრავლეს შემთხვევაში სპარსელების მიერ დანგრეული სახლების საძირკვლების გამოყენებით წარმოებდა. მაგრამ, ასე თუ ისე, ყველა ვარიანტში ძირითად არქიტექტურულ-კომპოზიციურ თემად გვევლინება ღრა გალერეა — აივანი, რომელიც ან შენობას აქვს ორი მხრიდან, ან სახლს ერტყმის გარს სამი მხრიდან. აივნები ხან კონსოლებზე შეკიდებული, ხან იარუსებადა განლაგებული. ფასადის დანარჩენი ნაწილი ჩვეულებრივ ფორმდებოდა სართულშუა პროფილირებული ზოლებით, არქივოლტებით, გვირგვინებით, არქიტექტურული ორდერის ელამენტებით. თავისი არქიტექტონიკით ორდერს მოგავონებთ აივნების ხის სვეტებიც. მეტად თვალწარმტაცად და ოსტატურადა შესრულებული აივნების ნაწილები — მოაჭირები, რიკულები, ტიმპანები, კარნიზები. ზოგჯერ აივანი შემინულია თავისებური ვიტრაჟით — ფერადი მინის ნაწრებით („მუშარაბი“). 1860-იანი წლებიდან თბილისში ეკლექტიკური არქიტექტურა იწყებს გავრცელებას, თუმც ქალაქის სხვადასხვა კუთხეში კიდევ დიდხანს აშენებენ აუზრულ აივნებიან სახლებს.

ბევრმა ძეველთბილისურმა სახლმა, სხვადასხვაგვარი გადაკეთებების შიუხედავად, შეინარჩუნა დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, კოლორიტი. ასეთ სახლებს შევხვდებით ძველი კალას უბნებში, ისანში და ნაწილობრივ მთაშმინდის კალთაზეც. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საცხოვრებელი სახლების ჯგუფები აზიზბეკოვის, გომის, ვერცხლის, შავთელის, ავლევის, დადიანის, უელიაბოვის, პირველი მაისის, არსენას ქუჩებზე. მეტად კოლორიტულია სახლები ალავერდოვის მოედანზე და ა. შ.

მიმდინარეობს სამუშაოები არქიტექტურულ-კომპოზიციურად გამორჩეული ძეველი საცხოვრებელი სახლების შემოსანახად. ზოგიერთ რესტავრირებულ სახლში დაწესებულებები მოთავსდნენ (აღაბტაცია), სხვანი ინარჩუნებენ საცხოვრებლის ფუნქციას გეგმარების სრული მოდერნიზაციისა და თანამედროვე კომფორტის შეტანის პირობით (რევენურაცია). აღაბტაციის მაგალითად მოვიყვან 1840-იანი წლების საინტერიეროს საცხოვრებელ სახლს ერეჭლეს მოედანზე, სადაც ამჟამად თეატრალური მუზეუმია განთავსებული, ხოლო რევენურაციის დამახასიათებელი მოწმობაა საცხოვრებელი სახლები შავთელის ქუჩაზე.

თბილისი ძველთაგანვე განთქმული იყო ბალებით. თბილისის სტუმრები ქალაქის აღწერისას აღტაცებით მოიხსენიებენ მათ. თვით კალაში ბალები მხოლოდ მეფის სასახლის კომპლექსს ეკვროდა (ამჟამინდელი ერქვეს მოედანს მიეკდებული ტერიტორია). ძირითადად კი ბალები თბილისის შემოგარენში იყო გაშენებული. განსაკუთრებით გამოიჩინდა ორთაჭალისა და სეიდაბადის ბალები და სოლოლაკის უბნის ვრცელი ბალები, რომლებიც ძირითადად მეფის ოჯახს ეკუთვნოდა. ჩვენამდე მოაღწია დენდროლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ შეცვლილმა გიორგი XII ბალის ფრაგმენტმა, რომელიც დღეს პიონერთა სასახლეს ეკვრის. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი აღნიშნავდა: „თბილისის გარეუბნებს მრავალი სალაობო სახლი და საუცხოო ბალები ამშენებს. ყველაზე უფრო დიდია მთავრის ბალი. ხეხილი აქ ნაკლებად არის, მაგრამ სამავიროდ უმშვენიერესი, ჩრდილისა და სიგრილის მფენი ხეები აურაცხელია“. მოყვანილი გამოთქმილან ჩანს, რომ თბილისის ბალები არა მარტო ხეხილიანი იყო (ხარულების შილა ეზოებში დღესაც წააწყდებით აქა-იქ შემორჩენილ ბროშეულის, ლეღვის, ნუშის, უნბის, ხართუთისა და სხვა ჯიშებს), არამედ მათ დეკორატიული მნიშვნელობაც ჰქონდათ და გარკვეულად დასვენებისა და დროსტარების ფუნქციას ასრულებდნენ.

იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ბოტანიკურ ბალს უკავია, შუა საუკუნეებიდან არსებობს ვრცელი ბალები, რომლებიც აღნიშნულია ქალაქის ყველა ძველ გეგმაზე. ამ მწვანე მასივს „ციხის ბალს“ ეძახდებენ, რადგან ციხის გალვანს ეკვროდა განჯის კარის სიახლოეს. სწორედ ამ სახელით იხსენიებს ამ ბალებს თბილისის 1735 წლის გეგმაზე გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბალი ხაზინას გადაეცა და მას „თბილის სახაზინო ბალი“ ეწოდა. შემდგომში იგი ამიერკავკასიის სოფლისა და მანუფაქტურული მრეწველობის წახალისების საზოგადოებას გადაეცა, 1845 წელს კი — თბილისის საცდელ ფერმას. სწორედ ამ დროს ეწოდა მას პირველად „ბოტანიკური“. უყურადღებოდ მიტოვებული ბალი რამდენჯერმე დაფარა აღიდებულმა წავისის წყალმა, ხოლო 1845 წელს ნარიყალაზე დენთის საწყობის აფეოქებამ საგრძნობლად დააზიანა. 1856 წელს ბოტანიკური ბალი გადაიქცა სასეირნო ბალად («Гульбышный сад»). აქ ეწყობოდა აღვირახსნილი ქეიფები, ნაღვურდებოდა ნარგავების ძვირფასი ჯიშები. 1861 წელს მას „ბოტანი-

კურის“ სტატუსი დაუბრუნეს და ბალზე მეთვალყურეობა დაავალეს ცნობილ სპეციალისტს შარერს. 1884 წელს ბაღი საბოლოოდ გადავიდა სახელმწიფოს განკარგულებაში.

1870-იან წლებში ინჟინერ-პოლკოვნიკმა ს. ვეისენგოფმა სოლო-ლაკის ქედში გვირაბის გაჭრის იდეა წამოაყენა. შემდგომში დაიწყეს კიდევაც გვირაბის გაყვანა ენგელსის ქუჩიდან ბოტანიკური ბაღისა-კენ, რაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დასრულდა. ბაღის ფართობი ოთხჯერ გაიზარდა და ახლა 130 ჰექტარამდე უკავია. ბაღის ღირსშესანიშნაობას მიეკუთვნება აგრეფვე ჩანჩქერის თავზე გადადებული მსუბუქი, მოხდენილი ხიდი, რომელიც ერთ-ერთი პირ-ველთავანია რუსეთის იმპერიაში აგებული რკინა-ბეტონის ხილებს შორის.

ახალი ძაგლები ძველ ჩალაში

ძველი ქალაქის მრავალი ადგილიდან და დიდ მანძილზე ცის ფონზე მკვეთრად აღიქმება სოლოლაკის ქედის თხემზე აღმართული მონუმენტური ქანდაკება „ქართლის დედა“, რომელიც საქართველოს დედაქალაქის სიმბოლოდ არის აღიარებული. ქალს ერთ ხელში მოყვა-რეთათვის განკუთვნილი ღვინის თასი უჭირავს, მეორეში კი — მტრის დასახურდრად მომარჯვებული მახვილი. ამ ჩანაფიქრით ხელმძღვანელობდა ქანდაკების აგტორი ელგუჯა ამაშუკელი.

თავდაპირველად მონუმენტი დროებით აღიმართა 1958 წელს თბილისის 1500 წლისთავის სახეიმო დღეებში. იგი ხის ლარტყებით იყო შესრულებული. ქალაქის დიდ სივრცეზე გაბატონებული ქალის ფიგურა ხალხმა სულ მაღე თბილისის სიმბოლოდ მიიჩნია და შემდგომში ქანდაკება უფანგავი ლითონით დაიფარა. ამით აისწება მონუ-მენტის ზედაპირის დამახასიათებელი ტექნიკა.

მეტების პლატოზე, კლდის პირას, მეტების ტაძრის სიახლოვეს 1967 წელს დაიდგა მცხეთიდან თბილისში დედაქალაქის გადმოტანის ინი-ციატორის მეფე ვახტანგ გორგასალის ქანდაკება (მო-ქანდაკე ე. ამაშუკელი, არქიტექტორები თ. კანდელაკი, დ. მორბე-დაძე). კლდის ქიმზე წინ წაწეული ძეგლი სხვადასხვა რაკურსებით აღი-ქმება ახლო და შორი მანძილებიდან. ცხენზე ამხელრებული მეფის ფიგურა ზვიაღი და ამავე დროს დაძაბულია. იდაყვში მოხრილი ხელი თითქოს გადაჭრით მიუთითებს: ამ ქალაქში უნდა დაიდგას სამეფო ტახტიო.

ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანის) ქეგლი 1975 წლის თებერვალის დასახურის გაცემის დროის შემთხვევაში მოქანდაკემ (ე. ამაშუკელი) სიმბოლიკას მიმართა. მხატვრის ოთხმეტრიანი მუხლმოდრეკილი ფიგურა დაბალ პოსტამენტზე დგას და ძლიერად გამოკვეთილი, ოდნავ გადაჭარბებული ზომის ხელებით ქრისტიანული მიუკრავს მქერდზე. სიკეთის, გულუბრყვილობისა და უშუალობის ეს სიმბოლო ეხმიანება თვით ფიროსმანის ხასიათს, რომელიც უშუალო იყო ფერწერასა და მართალი, გულუბრყვილო — ცხოვრებაში. მხატვრის სამოსი აბსტრაგირებულია, რაც საშუალებას აძლევს მოქანდაკეს მაყურებლის ყურადღება ფიგურის სახესა და ხელებზე გაამახვილოს. უპრეტენდითა ქეგლის არქიტექტურული მხარე (არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი), რაც ხელს უწყობს ძირითადი ჩანაფიქრის სრულად გამოვლინებას, ქანდაკების ემოციურ ზეგავლენას.

300 არაგველის მონუმენტი 1959 წელს დაიდგა თბილისის გმირი დაცველების საპატივცემულოდ, რომლებმაც თავი შესწირეს დედაქალაქს, 1795 წელს კრწანისის ველზე, სპარსელებთან გამართულ ბრძოლაში. ობელისკის ვიწრო ვერტიკალურ ზოლზე ამოკვეთილია მიძღვნა დაღუპული მეომრებისადმი. ღრმა რელიეფის მქონე ლამაზი ასოები ორნამენტურ ქსოვილს ქმნიან.

300 არაგველის მონუმენტის სიახლოვეს 1968 წელს აღმართეს ასევე კრწანისის ველზე დაღუპული მეფის მუსიკალური დასისადმი მიძღვნილი მეორე მემორიალი. ქეგლი 7 X 12 მ ზომის კედელია. აღმოსავლეთის ფასაზე ამოკვეთილია მეომრის სახე, ფარი და მახვილი, ხოლო საწინააღმდეგო მხარეზე — მეომრებისა და მუსიკოსების გამოსახულებები (არქიტექტორი ნ. მგალობლიშვილი, მოქანდაკე თ. ჭყანია).

ქველი თბილისის რეკონსტრუქცია

1975 წელს თბილისის ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნები დაცვით ზონად გამოცხადდა. ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა თბილისის ისტორიული რაიონების რეკონსტრუქციის მიზნით. ამასთან, სარეკონსტრუქციო სამუშაოები წარმოებს არა მხოლოდ ცალკეულ უენობებზე, არამედ სახლთა ჭვეულების, ქუჩების, მოედნების კვარტალების ფართო მასშტაბით ერთდროული გარდაქმნისათვის.

ბარათაშვილის ქუჩის რეკონსტრუქცია 1979 წელს ჩატარდა. ამ აღილზე მდებარე ქალაქის გალავანი, რომელიც აქ აღრე არსებულ

აგანანთხევს გასდევდა, გასული საუკუნის 20-იან წლებში ააფეთქეს და ქაოტურმა განაშენიანებამ შთანთქა მისი ნარჩენები. როდესაც კოლექტორით გადახურული ხევის თავზე გამავალი ბარათაშვილის (ძველად-მუხრანის) ქუჩის გაგანიერების აუცილებლობა წარმოიქმნა, მისი ერთ-ერთი მხარის მოშენების ყოფილ გალავნის ხაზამდე მიყვანა გადაწყდა. პროექტის ავტორმა შ. ყაგლაშვილმა ქუჩის გასწრივ გამოჩენილი კედლის ნაშილებისა და კოშკების პირვანდელ სიმაღლემდე ამოყვანა და გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლების განახლება არჩია. კედლის წყობა ტრადიციული ხერხით წარმოებდა — ქვის დიდი ზომის კვადრებისა და ბრტყელი აკურის შრეების შენაცვლებით. ზღვარი ძველსა და ახალ წყობებს შორის ბეტონის თაროთია მინიშნებული. XIX საუკუნის სახლების ნაწილი კვლავ საცხოვრებლად არის გამოყენებული, სხვები სხვადასხვა დანიშნულებისთვისაა შეგუებული (ჭორწინების სახლი, მარიონეტების თეატრი, სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზები, რესტორანი). ციხის კედლის მძლავრი წყობის ფონზე გამოიყოფა ლამაზი რიკულებითა და აუზრული ტიმბანებით შემკობილი ხის აივნები, რაც განაშენიანების მთელ ხაზს დინამიურობას ანიჭებს. ქუჩამ მკვეთრად გამოყო შუასაუკუნოვანი ბირთვის მიჯნა. ბარათაშვილის ქუჩის ერთი მხარის მოშენება თბილისის ისტორიული ნაწილის თავისებურ „სავიზიტო ბარათალ“ გვევლინება.

გონებამაშვილურად არის გამოყენებული გალავანს მიკელებული, თაღებითა და კამარებით გადახურული სათავსები. ერთ მათგანში სუ-
ვენირების მაღაზია მოეწყო, მეორეში — საყავე, შემდეგ — საჭაშ-
ნიკო. ინტერიერების გაფორმებაში გამოყენებულია ხე, ლითონი, კე-
რამიკა, ტყავი.

1980 წელს განახლდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შექნეულ მთის კალთას აყოლებული კიბალჩის აღმართის მოშენება. რეკონსტრუირებული განაშენიანება დიდი მანძილებიდან აღიქმება და ამდენად მას საქალაქო მასშტაბის უდერადობა აქვს. აღმართის ერთ მხარეზე მოშენებულია გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლები და ფასალების ფრონტით მტკვრის ხეობაზე გადის. ავტორმა — არქიტექტორმა შ. ყავლაშვილმა — აღადგინა ამ უბნის კოლორიტი, გაათავისუფლა ქუჩა გვიანდელი დანაშრევებისაგან, ზოგიერთ შემთხვევაში გვედრდით ავტორისეულ ინტერპრეტაციებსაც, რაც არ აღღვევს სტილურ და მასშტაბურ ერთიანობას. განაშენიანებას სილრმივი განვითარებაც აქვს კურდონერების, გარღვევების ხარჯზე. გუმბათიანი ეკლესია ეფექტურად აგვირგვინებს ბორცვს.

უბანშა ძირითადად საცხოვრებლის ფუნქცია შეინარჩუნა, თუმცა
აღმართის დასაწყისში მდგომი საცხოვრებელი სახლი უწყებრივ სას-
ტუმროდ არის გადაკეთებული.

1981 წელს დამთავრდა სანაპიროს, შავთელისა და ბარათაშვილის
ქუჩებს შორის მოქცეული ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი ს უ ბ ნ ი ს რეკონსტრუქ-
ცია. ამ უბნის განახლებას ართულებდა ის გარემოება, რომ ძველ გა-
ნაშენიანებაში უნდა ჩართულიყო ორი ახალი შენობა და განსაკუთრე-
ბით კი ამ უბანში თბილისის უძველესი ნაგებობის, VI საუკუნის ბა-
ზილიკის — ანჩისხატის მდებარეობა. არქიტექტორი შ. ყავლაშვილი
ძველ განაშენიანებაში თანამედროვე შენობების სათუთად ჩართვის
რთული ამოცანის წინ იდგა. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა გარემოში
ორგანულად ჩართული რესტორან „ქალაქურის“ შეკიბული ნაგებობა.
მარჯვედ არის განახლებული გასული საუკუნის საცხოვრებელი
სახლები შავთელის ქუჩასა და მტკვრის სანაპიროს შორის. ლია გალე-
რებით გარშემორტყმული და სანაპიროსაცენ კურდონერებად გახს-
ნილ ამ სახლების შიდა ეზოებს ლაზათი შეაქვს ამ უბნის არქიტექტუ-
რულ- მხატვრულ იერში.

საინტერესო შარდენის ქუჩის განახლების შედეგები. რე-
კონსტრუქცია განახორციელა არქიტექტორთა ჯგუფმა გ. ბარათაშვი-
ლის ხელმძღვანელობით. ქუჩის სახელწოდება დაბავშირებულია ფრან-
გი მოგზაურის უან შარდენის სახელთან რომელმაც თბილისის აღწერას-
თან ერთად ქალაქის, ჩვენამდე მოღწეულთაგან, პირველი გრაფიკული
გამოსახულება დაგვიტოვა. ქუჩის განახლება (1981 წ.) ზომიერადაა
ჩატარებული, ყოველგვარი ზედმეტობისა და გაუმართლებელი სტი-
ლიზაციის გარეშე. პატარა ქუჩა მთლიანად ფეხით მოსახულებს და-
ეთმო. ქუჩის ორთავ მხარეზე მდგომი სახლების პირველ სართულებში
საფირმო მაღაზიებში, სახელოსნოები განლაგდა და ისინი თავისებურ
სურათს ქმნიან.

წარმატებით ჩატარებული რეკონსტრუქციის მაგალითთა სამღებ-
როს ქუჩის დასაწყისის მოშენება (არქიტექტორი ვ. ორბელაძე). ქუ-
ჩის გასწვრივ, მდინარის მხრიდან, მოიხსნა მდარე ხარისხის შენო-
ბები და მოწინააღმდეგე მხარის განახლებული სახლები ფასადებით
მტკვრისაცენ აღმოჩნდა მოქცეული. ტაქტიანად არის ჩადგმული ძვე-
ლი უბნების რთულ სტრუქტურაში ახალი ადმინისტრაციული შენო-
ბაც.

1983 წელს დამთავრდა ღუტუ მეგრელის ქუჩასა და ღვინის აღ-
მართს შორის მოქცეული სახლების კომპლექსის რეკონსტრუქცია.

კომპლექსს მთავორიან რელიეფზე გამატონებული ადგილი უქავია ყოფილ რიყის მიღამოებში და შორი მანძილიდანაც მკაფიოდ აღიქმება (არქიტექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელია გ. ბათიაშვილი). ამ უბნის რევენურაციის შედეგად განაშენიანება ორგანულად ჩაერთო უმნიშვნელოვანესი ქალაქთმშენებლური ძეგლის შემადგენლობაში, რომელიც მტკვრის ხეობაში ჩამოყალიბდა და ვრცელ პანორამას ქმნის მდინარის ორივე ნაპირზე. ნაჩიყალას, მეტეხის, საჩინოსა და განხილული უბნის ერთიანობა იმ ქალაქმშენებლური სტრუქტურების რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც თბილისის ინდივიდუალურ სახეს აყალიბებენ.

თბილისის ძველი უბნების რეკონსტრუქცია გრძელდება. ვრცელი სამუშაოები წარმოებს კალაში სანაპიროს გასწვრივ. ლესელიძის ქუჩაზე შემუშავებულია საქართველოს დედაქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნების, ქუჩების, მოედნების, სახლების ჯგუფების განახლების პროექტები.

შ 0 6 1 6 1 6 0

შოკლე ისტორიული ექსპურსი	3
ძველი თბილისის ძეგლები	7
ქარვასლები	16
ძველი თბილისის საცხოვრებელი საზღვრები	18
ბოტანიკური ბაღი	20
ახალი ძეგლები ძველ ქალაქში	21
ძველი თბილისის რეკონსტრუქცია	22

რედაქტორი მ. ერისთავი
მხატვარი ლ. ლვანჩიძე
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ე. ციხელაშვილი
კორექტორი ჭ. მსხილაძე
გამომუშები ე. ჭიჭია

გაღიცა წარმოებას 24.5.84 ხელმიწერილია დასაბეჭდად
27.11.84. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/16. გარნიტური
ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი
1,63+ჩაკვრა 0,93. პირ. საღ.-გატ. 2,67. სააღრ.-საგამომც.
თაბაზი 2,39. ტირაჟი 20 000. შეკვ. № 703.

ფასი 25 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა,
თბილისი, ორჯონიშვილის ქ. 50

Типография № 1, Государственного комитета Грузинской
ССР по делам издательств, полиграфии и книжной
торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50

30

1350/330

Квирквелия Тенгиз Рафаэлович

СТАРЫЙ ТБИЛИСИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1984

K 290.089
3